გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891


## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

**ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:**

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაწვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---


კვირას 12 მაისს

მუშტაიდის ბაღში

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ გამართული იქმნება

სახალხო სეირნობა

ლოტარია-ალეგრითა

დაწვრილებით გამოცხადებული იქმნება აფიშებში.


---

## ახალი ამბავი

*** „წერა-კითხვის საზოგადოების" ლოტარია-ალეგრისათვის შემოწირული ნივთები მოუვიდა შემდეგ პირთაგანუ ა) ელენე ყორღანიასაგან ნაკერი შანდლის ფიანდაზი; ბ) დარია გიორგის ასულის შანშიევის მეუღლისაგან ნახევარ დუჟინს ფინჯანი და ყვავილების ერთი ვაზა.

გამგეობა საზოგადოებისა მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

*** ვიცე-პრეზიდენტმა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისამ ბ-ნმა კუჩევმა თავი დაანება კავკასიაში სამსახურს, რადგან პეტერბურგში იქმნა გადაყვანილი ახალს თანამდებობაზედ. სამეურნეო საზოგადოების წევრებმა და თანამოსამსახურეთ 30 აპრილს, სამშაბათს, სადილი გაუმართეს „კრუჟოკის" დარბაზში. სახელმწიფო ქონებათა მმართველობის გამგებელმა ი. ს—ძემ ხატისოვმა სამეურნეო საზოგადოების საპატიო წევრის დიპლომი მიართვა საზოგადოების სახელით.

*** ამ დღეებში სამოსამართლო პალატას მოუვიდა სენატის უწყება, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ სახელმწიფო სენატმა საკასაციო საჩივარი ძმათა ვლადიმერ და ნესტორ ჯაფარიძეებისა შეიწყნარა და განაჩენი ტფილისის სამოსამართლო პალატისა გააუქმა.

ძმათა ჯაფარიძეებს ჰბრალდებოდათ ვასილ ჯაფარიძის მძიმედ დაჭრა. ქუთაისის ოლქის სასამართლომ ყოველივე ღირსება ჩამოართვა ბრალ-დებულთ და ასტრახნის გუბერნიაში გადასახლება მიუსაჯა. სამოსამართლო პალატამ ეს განაჩენი დაამტკიცა.

სენატის გადაწყვეტილებაში სხვათა შორის ისიც არის მოხსენებული, რომ პალატას იმ კანონ-მუხლებით არ უხელმძღვანელნია, რომელიც საჭირო იყო ჯაფარიძეების გასამართლების დროს სახმარებელადაო, რადგან ჯაფარიძეები თავის თავს იცავდნენ იმ დროს, როცა ვასილ ჯაფარიძე კეტით მიუხტა. ეს საქმე ეხლა ხელახლად პალატის მეორე განყოფილებამ უნდა გაარჩიოს.

*** ორშაბათს, 29 აპრილს, ანუ უკეთა ვსთქვათ, 30 აპრილს გათენებისას სახალხო მატარებელს ავაზაკნი დასცემიან თავს „ძეგამი"-სა და „დალიარ"-ის სადგურს შუა. ერთი ავაზაკთაგანი შეპარულა პირ-და-პირ საფოსტო ვაგონში და სდომებია ფულებიანის წერილების მოტაცება. ფოსტის მოხელე ბ-ნი სოლოდოვნიკოვი თუმცა ვაგონში ყოფილა იმ დროს, მაგრამ ამ მოულოდნელ შეიარაღებულ სტუმრის უეცრივს შემოსვლას ისე გაუოცებია, რომ პირველად ვერა მოუხერხებია-რა, მით უმეტეს რომ ამ დროს ავაზაკი ხანჯლით ემუქრებოდა თურმე, ლუკმა-ლუკმა აგკუწავ, თუ ხმა ამოიღიაო ავაზაკმა მოიტაცა წერილები და ისევ იმ გზით გავიდა, საიდამაც შემოვიდა, ესე იგი ვაგონის ფანჯრიდამ. როგორც ეტყობოდა, ავაზაკს ამხანაგებიც უნდა ჰყოლოდა, რადგან მარტო ერთს არ შეეძლო ვაგონში ფანჯრით შემოძრომა, თუ არ სხვის დახმარებით.

მატარებელი მალე სადგურთან მივიდა და იქ ნახეს, რომ ვაგონის კედელი გარედგან, სწორეთ ფანჯარასთან, სულ დაკაწრული იყო, გარედ მიწაზე აქა-იქ დახეული წერილები ეყარა.

ავაზაკს სულ უფულო წერილები წაეღო, თუმცა-კი ისევ იმ ვაგონში მთელი ყუთი იდგა 300 თუმნითაო.

გამოძიება სწარმოებს.

*** ცხინვალი. 24 აპრილს, ღამის 12 საათზედ, ვიღამაც მტრობით აუჩეხა მიშა ოჰანაშვილს ნამყენი, რაც-კი ვენახის გარეშემო იყო, შიგა-და-შიგ ვაზებიც აეჩეხნა. ბოროტ-გამზრახველმა ესეც არ იკმარა, მიუკიდა ღობეს ცეცხლი და გადაუწვა მარანი, საბძელი და შიგ დაწყობილი ხის მასალა. ზარის რეკვაზედ მოიყარა ხალხმა თავი და ცეცხლი ჩააქრეს, თორემ, თქვენი მტერი, ცხინვალის ვენახებს ანაცვალებდა. ამბობენ ზარალი სამოც თუმნამდეაო.

*** იქიდგანვე: ამავე ღამეს სოფელ ქემერტში დაეცნენ ერთის მეტრეველის ოჯახს ათი თუ თორმეტი შეიარაღებული ავაზაკი, დასჭრეს ცოლი მეტრეველისა, სიძე მისი და წაართვეს ოთხმოცი თუმანი ფული და რაც-კი ხელთ იგდეს. შესხდნენ ცხენებზე თურმე და არხეინად გაუდგნენ თავიანთ გზას. თვით ეს ანდრია მეტრეველი თურმე იმ ღამეს გერის წმინდა გიორგში იყო სალოცავად. ავაზაკებს პოლიცია დაეძებს და ვნახოთ, იპოვნიან თუ ვერა.

*** იქიდგავე: ამავე დღეებში გერიდგანვე მომავალ ოსებს გერგაშვილებსა და თედეშვილებს მოუვიდათ ჩხუბი და ერთმანეთი დახანჯლეს. როგორცა სთქვეს, თედელშვილები თურმე მძიმედ არიან დაჭრილები.

არც თვით გერის დღეობას ჩაუვლია მშვიდობიანად. შეზარხოშებულებს ცეკვა-თამაშის დროს, ერთს ოსს დაუჭრია ორი ოსი და, როგორც გავიგეთ, თურმე შინაურულადვე მოურიგებიათ შუა კაცებს.

---

## ფელეტონი

### ქართული მწერლობა

„ნაქვთები" დიმიტრი ერისთავისა. ქუთაისი, 1891 წელს.

ბ-ნმა დიმიტრი ერისთავმა პირველად „ივერიაში" დაიწყო ბეჭდვა თავის პატარ-პატარა მოთხრობებისა ამ ოთხიოდ სამის წლის წინად. ეხლა „ნაქვთებში" გადმობეჭდილია ყველა ის ნაწერი და ჩამატებულია რამდენიმე ახალი მოთხრობა. საზოგადოდ ძნელია კაცმა რაიმე გარდაწყვეტილი აზრი შეადგინოს მწერლის ღირსებაზე, როდესაც მისს ნაწარმოებს შეჰხვდება მხოლოდ აქა-იქ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად და ისიც დიდის ხნის მანძილზე. ამის გამო ბ-ნ დ. ერისთავის მოთხრობებმა გაზეთში ისე ჩაიარა, რომ ჩვენს მეხსიერებას ძლიერ სუსტი კვალი დააჩნია. დღეს-კი, როდესაც მისს ნაწერებს ერთად მოუყრია თავი-თავს, მკითხველს შეუძლიან გაიგოს ავტორის ვინაობა, მისი გულის პასუხი, მიუხვდეს, რას ეტრფის იგი ცხოვრებაში, რას ემსახურება, რას თანაუგრძნობს და რას ებრძვის. ამასთანავე შესაძლებელი გახდა გამოარკვიოს თვით ღირსებაც მისის ნიჭისა. რაკი საზოგადოება ამ მხრით გაიცნობს მწერალს, მერე ზედ-მიწევნით ეცოდინება, რის მოლოდინი უნდა ჰქონდეს მის საკვლაო შრომისგან.

კარგა ხანია ჩემს ხელს აღარ მოჰხვედრია ამოდენა ქართული წიგნი, დაწერილი ქართველის მიერ, და ამიტომ დიდის გულმოდგინეობით გადავიკითხე იგი ბოლომდის. სურვილმა ახალგაზრდა ავტორის გაცნობისამ, მის ნაწერების შინაარსმა, თვით გარეგანმა ღირსებამ და ნაკლმა გამაბედვინა გავუზიარო მკითხველს ის დასკვნა, რომელიც შემრჩა ხელში, როდესაც გავათავე უკანასკნელი ფურცელი და დავკეცე წიგნი.

„ნაქვთები" შეიცავს ათს ამბავს, რომელიც შეეხება ცხოვრების სხვა-და-სხვა მხარეს. როგორც ეტყობა, ავტორი ცდილობს ყველგანა სცადოს თავისი კალამი, რომ ეგებ წააწყდეს ისეთს საგანს, რომელიც უნდა შეიქმნეს ოდესმე მის გზა-მაჩვენებელ ვარსკვლავად. აქა ჰხედავთ სურათებს სტუდენტების ცხოვრებიდამაც, ამბავს გლეხის ავ-კარგიანობიდამაც, ცოლ-ქმრობის დახლართულ და დაუსრულებელ ურთიერთობიდამაც და სხვ. აი თვით სათაურებიც მოთხრობებისა: „დრამა ვაგონში", „ბოშა გოგო", „ახალგაზრდა ქალის დღიურიდამ", მწყემობა, „ციხეში ჯვარისწერა", „უბედური ქმარი", „მსხვერპლი სიყვარულისა" და ორიოდე კიდევ სხვა. ასეთი სხვა-და-სხვაობა ტემებისა ან იმის შედეგია, რომ მწერალი დიდის გამოცდილებისა და ცოდნის პატრონია, ყველგან მიუწვდება ჰკუაგონება, მის თვალს არ გამოეპარება არც ერთი დაფარული გულის-ძგერა ადამიანისა, რომელს წრესა და ასაკსაც უნდა ეკუთვნოდეს უკანასკნელი, და იმედი აქვს, რომ ყველგან თავს კარგად გაიტანს ბოლომდე; ან იმისი, რომ მწერალს დავიწყებული აქვს თავისი ვინაობა და მხოლოდ უბრალო, სადა მოწმეა იმისი, რაც გარშემო ჰხდება, და შეძლებისა და გვარად სცდილობს ჩასწეროს დავთარში, როგორც რეპორტიორი, პროტოკოლისტი და მეტი არაფერი. ან იმისი ბრალია, რომ მწერალს ჯერ თავისი შესაფერი ადგილი ვერ უპოვნია და ეძებს იმ ბილიკს, რომელიც შეაძლებინებს დაბურვილი ტყე როგორმე უხიფათოდ განვლოს სიგძე-სიგანეზე.

ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს შევწამოთ ავტორს, ვითომ მას წარმოდგენილი ჰქონდეს თავისი თავი ისეთ მცოდნე და შემძლე მწერლად, რომელსაც ყველგან მიუწვდება ხელი და რომლისთვისაც დაფარული არა არის-რა ცხოვრებაში. ვერც იმას ვიტყვით, ვითომც ბ—ნი დ. ერისთავი მხოლოდ პროტოკოლისტი იყოს, მემატიანე და მარტო მოწმე სხვა-და-სხვა ამბისა. ვერ ვიტყვით იმიტომ, რომ ჩვენი ავტორი ყველგან, სადაც-კი შესაძლოა და ზოგჯერ იქაც-კი, სადაც არც შესაძლოა და არც საჭირო, აშკარადა სცდილობს დაგვანახვოს თავისი სიმპატია თუ ანტიპატია, გვაჩვენოს, რომ ასეთი ამბავი მას არ მოსწონს, ხოლო სხვა გვარი მისთვის სანატრელია. მაშასადამე, დარჩა მესამე დარგი ახალგაზრდა მწერალთა, რომელთაც ჯერ კარგად ვერ შეუგნიათ თავიანთი ნამდვილი ძალა და გადაწყვეტით არ იციან, სად და რაში უფრო გამოსადეგია მათი კალამი, სად უფრო მომეტებულის გაკეთება შეუძლიან მათს ცოდნას, გამოცდილებასა და ნიჭს. ზემოდაც ვსთქვით და ეხლაც ვიმეორებთ, რომ ჩვენი ავტორი ჯერა სცდის თავისს კალამს და არა აქვს გადაწყვეტილი, რომელს წერტილზედ უნდა მოიკიდოს ფეხი და დაიმკვიდროს ადგილი. მით უფრო საინტერესოა ჩვენთვის მისი ნაწერები. ამ შემთხვევაში, როგორც მკითხველთა საზოგადოება, აგრეთვე და ნამეტნავადაც მწერლობა მოვალეა წაეშველოს ახალგაზრდა მწერალს და თავისი, რამდენადაც-კი მოსახერხებელია, უტყუარი განაჩენი დაადგინოს შესახებ მისის ნაშრომისა. მე ჩემის მხრივ წაშველებას ვერ გავბედავ, მხოლოდ ორიოდე შენიშვნას-კი ვიტყვი ბ-ნ დ. ერისთავის ნაწერებზე.

**

ყოველი თვითოეული ამბავი „ნაქვთებისა" განირჩევა ურთიერთისაგან შინაარსით, მაგრამ ყველა ერთმანეთსა ჰგავს მითი, რომ სულ დრამატიულად, სამწუხაროდა თავდებიან. იქაც-კი მწუხარებით ათავებს ჩვენი ავტორი, სადაც საქმეს ხუმრობით ან დროს-გატარებით იწყებს. „უბრალო ამბავი" გნებავთ, „ორი სურათი", „ძველს კილოზე", თვით „მწყემობაც"-კი უბედურობით თავდება. აშკარაა, რომ ავტორს უფრო სამწუხარო ამბები უდგას თვალ-წინ და იგი დრამატიულ მდგომარეობის ხატვას ანდომებს თავისს კალამს. მაშასადამე, ხასიათი მისის წერისა ჯერ-ჯერობით დრამატიულია. ჩემდა თავად მე ისეთი აზრი შევადგინე ამ მწერალზე, რომ დღეს იქით, რაც უნდა მხიარულის სახელით დაბეჭდოს თავისი ამბავი, გინდაც რომ დაუძახოს „ქორწილი", „წვეულობა", წინადვე გარდაწყვეტით მეცოდინება, რომ ბოლო უთუოდ სატირალი ექნება მისს ნაწერს.

ამ ხასიათს ჩვენის ავტორისას იმიტომ-კი არ ვასახელებთ, რომ ნაკლულევანებად მიგვაჩნდეს. დეე, სამწუხაროდ გათავდეს ამბავი, დეე, ორიოდე ცრემლი ჩამოსწუროს ჩვენის მკითხველის თვალსა, მანდ რა ხარჯია! ამისთანა გულ-გაქვავებულს დროში, როდესაც ყველას მხოლოდ თავისი თავი ახსოვს და ამის გარეშე გინდ ქვა-ქვაზედაც აღარა ყოფილა, ორიოდე ცრემლი მეტად ძვირფასია და კაი უნარიც არის, ვასაც-კი შეუძლიან გამშრალი თვალი მოძმისა ცოტათი მოაწყლიანოს და იქიდამ ერთ-ორს წვეთს გა-

*** ხაშური: აღდგომის დღემ ჩვენს დაბას უბედურება მოუტანა: ამ დღეს აქ კაცის მკვლელობა მოხდა. აი როგორ იყო საქმე. ჩვენის ეკკლესიის კარგა მოზდილს გალავანში ამ დღეს შეკრებილიყვნენ მკვიდრნი და ვისაც როგორ უნდოდა, ისე ატარებდნენ დროს. ერთ მხარეს მოსამსახურე ბიჭები,—უფრო მეტი იმრელობა იყო,—ბურთს თამაშობდნენ. თამაშობის დროს უცბად ბურთი მეორე მხარეს გადავარდა და იქვე მოქეიფეთა გუნდის სუფრაზედ დავარდა. ერთმა მოქეიფემ ბურთი იქვე არხში გადააგდო. ასტყდა ამაზედ ლაპარაკი, მერე უსიამოვნობა, ბოლოს ყველა ამას ცემა-ტყეპა მოჰყვა და კეტითა და იარაღით ერთმანეთ დაერივნენ. ერთ რაჭველს გვარად კუპურაშვილს, უნდოდა თავი დაეღწია ამ გაჭირვებისაგან, მიეშურა ეკკლესიის გალავანს გასასვლელად მაგრამ სწორედ ამ დროს მიეწია ვიღაც ბ თავში კეტი დაჰკრა; გამწარებული რაჭველი ის იყო მიუბრუნდა და სამაგიერო უნდოდა გადაეხადნა, მაგრამ ამ დროს მიეშველნენ, დაიჭირეს და არ გაუშვეს. გაბრაზებულმა კუპურაშვილმა ხანჯალი გაუყარა გვერდში. ერთს ჩხუბში ჩარეულს, გვარად ბოლქვაძეს, საბრალო ბოლქვაძე იმ დღესვე გარდაიცვალა, ხოლო კუპურაშვილი მძიმედ ნაცემია. გამოძიება სწარმოებს.

*** წიფა. გვეგონა დღესასწაული წყნარად და მშვიდობიანად ჩაივლიდა, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა. აღდგომის მეორე დღეს აქაურ მცხოვრებელის ბ-ძის შვილს გზაში სამი თათარი დახვდა. ვეუცხლის ქამარი ახსნეს და გაიქცნენ, გაძარცულის მამა უკან დაედევნა თათრებს, დაეწია კიდეც, მაგრამ ამ დროს ერთი თათარი მოუბრუნდა და რევოლვერი დაახალა. საბრალო მამა იმ დღესვე გარდაიცვალა; შვილიც მძიმედ დაჭრილია ხანჯლით, მაგრამ სიკვდილს, როგორც ამბობენ, გადარჩება.

თათრები ხაშურში ასულან და იქ ჟანდარმებს დაუჭერიათ. გამოძიება სწარმოებს.

*** ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალ-მდებლის ამხანაგმა ბ-ნმა ხლადოვსკიმ „პროტესტი“-ს ქაღალდი მისცა პალატას სენატში გასაგზავნად იმის შესახებ, რომ კმაყოფილი არა ვარ ა. ს—ძის ყორღანოვის გამართლების გამოვო. უკმაყოფილება გამოუცხადებია აგრეთვე პალატის გარდაწყვეტილებაზედ ბ-ნ ოპოჩინინს, სოფიო ტერ-მიკირტიჩიანცის ვექილს.

***გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“ იუწყება, რომ ჩვენს ქალაქში იმყოფება ამ ჟამად საფრანგეთის მეცნიერი ბ-ნი შანტრი, რომელიც საფრანგეთის მთავრობას გამოუგზავნია საეტნოგრაფიო და საანთროპოლოგიო გამოკვლევათათვის. ბ-ნი შანტრი სხვათა შორის აპირებს მცხეთის ახლო-მახლო მიწის გათხრასა და ყაზბეგის მწვერვალზედ ასვლას. ამ მეცნიერს სამი ახალგაზდა ბუნების მეტყველი თან დასდევს.

*** იმავე გაზეთის სიტყვით' ახალგაზდა აგრონომს ქრისტ. ვერმიშევს სამზღვარ გარედ ჰგზავნიან ღვინის დაყენების შესასწავლად.

*** „ტფილ. ფურც.“ სწერს, რომ შუამდგომლობენ მასწავლებელთა საზოგადო კრება შეადგინონო. ამ კრებას საგნად უნდა ჰქონდეს შესწავლა სახალხო სკოლების საჭიროებისა. კრება განიხილავს აგრეთვე საპედაგოგიო მოღვაწეობას კერძოდ ყოველ მასწავებელისასაო.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, ერთს უცხოელს ქალაქში მიუცია განჯის გუბერნატორისათვის, ნება მომეცით ქალაქ განჯიდგან გერმანელების კოლონია ელენენდორფამდე, შვიდის ვერსის მანძილზე, ცხენის რკინის გზა გავიყვანოყო.

*** 30 აპრილს ნავთლუღში ტფილისის გაჭარს არშანოვს მოჰპარეს ორი ხარი სოფ. ყარაჯალის მცხოვრებლებმა ყურბან-ალი-იბრჰიმ-ოღლიმ, და ყული-რედუ-ოღლიმ. დამნაშავენი შეიპყრეს ნაპარევითურთ.

*** 1 მაისს ავჭალის ქუჩაზე ნახჩევნის მცხოვრებელი მიკირტიჩ ბაბაჯანოვი მიუხდა გასაქურდავად თ. მიხეილ ციციშვილს, მაგრამ მალე შეუტყეს მოსამსახურეებმა და იქვე შეიპყრეს.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზ. „ნოვოე ობოზრენიეს“ გუშინდელს ნომერში ფრიად საყურადღებო ფელეტონია დაბეჭდილია დიდად პატივცემულის ნიკოლოოზ გულაკისა. ბ-ნი გულაკი არჩევს გერმანულს ენაზედ ეხლა ხანს ლეისტის-მიერ გადათარგმნილსა და დაბეჭდილს „ვეფხვის ტყაოსანს“ და რამდენიმე მაგალითიც მოჰყავს იმისი, თუ რა აჩქარებით უთარგმნია ზოგიერთი ადგილი ლეისტს; ზოგი ვერ გაუგია და ზოგი კიდევ სრულიად გამოუტოვებია. ამის ბრალს ბ-ნი გულაკი თვით ქართველებსავე სდებს, რადგან კარგად არა აქვთ ახსნილი და სხოლიოებით განმარტებული თავისი უკვდავი პოემაო. აი რა სამართლიანს საყვედურს უთვლის განათლებულს ქართველს ყმაწვილ-კაცობას პატივცემული ავტორი.

ოდესღაც მე ასეთი აზრი წარმოვსთქვი: „ჯერ არ დამდგარა ის დრო, რომ ეს ქართული პოემა სხვა ენაზედ გადითარგმნოს. ასეთს თარგანს წინ ის უნდა უძღოდეს, თვით ქართველებისავე შრომა, თვით ქართველებმავე კეთილ-სინიდისიერად კრიტიკულად უნდა განიხილონ და ეს თავისი განხილვა ქართულის ენის ისტორიას კარგად ცოდნასა, საარხეოლოგიო კვლევა-ძიებასა დაესტეტიკურს გრძნობაზედ დააფუძნონო“.

როგორც ეტყობა, მეორედ მოსვლამდე ვერ ვეღირსებით თვით ქართველებისავე კეთილ-სინიდისიერს კრიტიკულს შრომას. მართალია-და, ამ უკანასკნელს ორმოც-და-ათს წელიწადს ხუთჯერ მაინც გამოუციათ გამოუციათ „ვეფხვის ტყაოსანი“, მაგრამ არც ერთს გამოცემას არა აქვს დართული, არამც თუ შენიშვნები, არამედ მცირე ნუსხაც-კი იმ ხმარებაში აღარ მყოფ სიტყვების გასახსნელად, რომელთა ახსნას ჩუბინაშვილის ლექსიკონშიაც-კი ვერ იპოვნით. ამბავდ ეხლანდელ ქართველ სწავლულებსა ჰგონიათ, რომ მართლა მშვენიერი სურათები შაჰისა, უკანასკნელს მეორფესს გამოცემაში ჩართული, საკმაოდ გასაგებად, სდის ჩვენს საყვარელს პოემასაო. შევნიშნავთ კიდევ რომ ამ ათის წლის წინად, რა საარხეოლოგიო კრება იყო ტფილისში, ამ საქართველოს ძველს დედა-ქალაქსა და მისის გონებრივის ცხოვრების შუა გულს ადგილში, ერთი ქართველი სწავლული არ გამოჩნდა, რომ ქვეყნის ყოველ მხრიდგან თავი მოყრილ განათლების წარმომადგენელთა წინაშე ეთქვა რამე და ოდნავ მაინც შეჰხებოდა, მრავალთა შორის, ერთს იმ საქართველოს შესახებ საკითხავს მაინც, რომელიც დღევანდლამდე გამორკვევას ელის, ან ენის მხრივ, ან ლიტერატურისა, ისტორიისა ან იურიდიულ სიძველეთა მხრივ და სხვ. და სხვ. ამასობაში-კი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ წიგნთ-საცავიკი ავსებით სავსეა დაუბეჭდველ ხელნაწერებით, სხვა-და-სხვა საწყობებსა და კანტორებში-კი დიდ-ძალი სხვა-და-სხვა გვარი ძველი ხელ-ნაწერი, სიგელი და გუჯარი ლპება და აზრადაც არავის მოსდის ჩ ე ხ უ რ მ ა ტ ი ც ა ს თ ა ნ ა ნ დააარსოს მაინც რამე. ასე უგულოდ მოკიდებას საქმისას თავისი აუცილებელი სასჯელიც მოსდევს. ბ-ნს ქართველებს ჯერ კიდევ თავი მოსწონთ, რომ „ვეფხვის ტყაოსანი“ ხალხური წიგნია საქართველოში და ყველა იმასა კითხულობს, დიდიცა და პატარაცაო. ნუ დაიჯერებთ! შეიძლება იმერეთისა და ან სამეგრელოს მივარდნილს და მიყრუებულს ადგილას სადმე ჯერ კიდევ რომელიმე მოხუცი კნეინა გულს ართობს დავითისა და ჟამთან ერთად „ვეფხვის ტყაოსნის“ ძველის ხელთ-ნაწერითაც, რომელზედაც ათას ფერად დასატულია თინათინისა, ავთანდილისა და ტარიელის პაწია სურათებიც, მაგრამ აბა რომელსაც გინდ ახალის თაობის წარმომადგენელს ჰკითხეთ, დაუფარავად სქვას, წაუკითხავს თუ არა თავიდგან ბოლომდე ეს პოემა, და პატიოსანს სიტყვას გაძლევთ, იმას იტყვის მერცხვენით, რომ: „არა, არ წამითხავსო“, და არც საკვირველია. უკანასკნელს ოც-და-ათს წელიწადში, განსაკუთრებით ეხლანდელს ყოველ დღიურ გაზეთების წყალობით, სალიტერატურო ენა ძალიან შეიცვალა: განვითარდა, მოიქნა, უწინდელ კლასიკურ ენის მოუხმარავი სიტყვები ევროპიულ ტიპების უფრო შესაფერ სიტყვებით შეიცვალა, დიდ-ძალი ძველი სიტყვა სულ აღარ არის ხმარებაში. ერთის სიტყვით, ეხლა „ვეფხვისტყაოსნის“ ენასა და აწინდელს ქართულს სალიტერატურო ენას შორის სწორედ ისეთივე განსხვავებაა, როგო-

---

მოჰრჩეს თანაგრძნობის ცრემლისას. ეს უნარი აქვს ჩვენს მწერალს და იმ გვარადაც ასურათებს თავისს ამბებს, რომ ბოლოს გულზე მოგვეჭიდება აწერილ არსების უბედურება და თვალების ხამ-ხამს უმატებ. ეს ხასიათია ჩვენის ავტორის ნაწერებისა.

ხოლო არ შეგვიძლიან არა ვსთქვათ, რომ ნაწერებში, სადაც სიუჟეტად დრამატიული მდგომარეობაა აღებული, უმეტესი ყურადღება უნდა მიქცეული იყოს სულისა და გულის მოძრაობათა ვითარების გამოხატვაზედ. თუ სამწუხარო ამბავს აკლია ეს მხარე, ანუ სუსტად არის გამოყვანილი, მაშინ იგი ვერ აღწევს თავისს დანიშნულებას, იგი მხოლოდ მკრთალი აჩრდილია ტანჯვის ნამდვილ სურათისა და მოგაგონებთ იმ ნახატს, რომელსაც ქვემოდამ მისი ავტორი აწერს: „ბატონებო, ეს ლომი გახლავთ და არა ძაღლიო“. ერთის სიტყვით, უმთავრესი ღირსება დრამატიულ ამბებისა არის ფსიხოლოგიური მხარე მომქმედ პირთა.

როდესაც თქვენ ამ ერთად-ერთს მართალს საწყაოს, ამ აუცილებელ მოთხოვნილებას წაუყენებთ ბ-ნ დ. ერისთავის ნაწერებს, ჰნახავთ, რომ მისს ათს ამბავში ვერც ერთი ვერ დაგაკმაყოფილებთ ისე, როგორც შექსპირის ბუნებას აღწერილ ნაქვთისას და სიმართლეს ადამიანის სულის მდგომარეობისას. ეს არის უდიდესი ნაკლი, რომელმაც ჩვენ უსიამოვნოდ გაგვაკვირვა ახალგაზდა ავტორის ნაწერებში.

**

აილეთ რომელი მოთხრობაც გნებავთ ბ-ნ დ. ერისთავისა და თქვენ დაინახავთ, რომ ავტორი უცნაურის ფეხ აკრებით გაურბის სწორედ იმას, რასაც იგი ორის ხელით უნდა ეჭიდებოდეს, რადგან მხოლოდ აქ უნდა სცდილობდეს მოიკიდოს ფეხი, აქ გამოიჩინოს უნარი, ძალა, მხნეობა, ცოდნა, დაკვირვება და გამოცდილება· საამურის ენით, დაწყნარებით, სწორედ პოეტურად მოგიყვებათ ხოლმე ხშირად ავტორი რომელსამე ამბავს. აი, თქვენი ყურადღება ერთობ და მალე შეიპყრო მან, მიუახლოვდა ტანჯვის საგანს და აგერ, როდესაც უნდა გადაშალოს ტანჯულის სულის კვეთება, უცებ საიდგანღაც გატყვრება ან რევოლვერი, ან ვაგონების მატარებელი, ან წისქვილების ბორბალი და... მოელო უდროვოდ ბოლო ამბავს, მოელო ბოლოთვით იმ არსებას, რომელმაც მიიზიდა თქვენი თანაგრძნობა და რომლის ავ-კარგიანობისა ჯერ მეხამედიც ვერა გაიგეთ-რა. ავტორმა უკმაყოფილოდ დაგტოვათ ერთობ, გაგისხლტად ხელიდამ, რომ ახლა სხვა ამ გვარივე ამბავი მოგასმენინოთ, აგიშალოთ საღერღელი და კვლავ მშრალზედ დაგტოვოთ. ბ-ნი დ. ერისთავი ერთობ ჩქარობს მოუსწრაფოს სიცოცხლე თავის გმირებს. არ დაგიდევთ არც მათს ახალგაზდობას, არც სიკეკლუცეს, არც სილამაზეს, არც სიტურფეს, არც იმას, რომ სამართლიანობა მოითხოვს თვით ხარ-ჩობელის მსხვერპლსაც-კი ათქმევინოს ჯალათმა უკანასკნელი გულის პასუხი, სიტყვა გამომშვიდობებისა.

აილეთ „უბედური ქმარი“. მშვენიერი სალამოა. ავტორი მარტოკა გაემგზავრა ქალაქ გარედ. უცებ მოსწყდა ცაზე ვარსკვლავი და სწორედ ამ დროს მოაგონდა ავტორს თავისი მეგობარი ვანო. არ გაუვლია რამდენსამე წუთს, ავტორი გაიგონებს რევოლვერის ხმას ტყეში. მივა და ჰნახავს, რომ ამ ვანოს დაუცია თავის თავისთვის რევოლვერი—თურმე ცოლს უღალატნია. შემდეგ ავტორი მოგიყვებათ იმ ტანჯვას, რომელსაცა ჰგრძნობს ცოლი, მომაკვდავ ქმრის მაყურებელი. რა თქმა უნდა, მკითხველს ებრალება ახალგაზდა მომაკვდავი ვაჟი, ცრემლიც ერევა თვალებში. მაგრამ განა ცრემლის ნაკადული ნაკლები იქნებოდა, რომ მკითხველისთვის გაეგებინებინა ავტორს იმ ტანჯვის ვითარება, რომელიც აწყლულებდა ვანოს გულს, ვიდრე იგი თავის მოკვლას გადასწყვეტდა? პირიქით, ცრემლი უფრო მდუღარე იქმნებოდა და აზრიც რამ შერჩებოდა მკითველს ხელში, თუ-კი მას დაუხატავდით სულსა და გულს თავის—მკვლელისას. საქმე ის კი არ არის, როგორ დაიცა ვანომ რევოლვერი და რამდენად სამწუხაროა მომაკვდავის ყურება, სიტყვა ის არის, როგორი სულის კვეთება და ქარ-ცეცხლი გამოიარა უბედურმა ახალგაზდამ, ვიდრე რევოლვერს მიჰმართავდა იგი.

გასინჯეთ „მსხვერპლი სიყვარულისა“ და აქაც იმავე ნაკლსა ჰნახავთ. სოფელში ახალგაზდა ქალსა და ვაჟს ერთმანეთთან კავშირი დაუჭერიათ. ქალი ფეხ-მძიმე შექმნილა და თანაც გაუგია, რომ მისი სატრფო სხვაზე იწერს ჯვარს. დანიშნულს ადგილზე ღამით ინახულებენ იგინი ერთმანეთს. ქალს უნდა უკანასკნელი პასუხი გაიგოს ვაჟისაგან და ჰკითხავს, მართლა სხვაზე იწერს იგი ჯვარს თუ არა. ვაჟი ეუბნება—ეგ სისულელეაო, შემცდარი ხარო. ქალს არა სჯერა, ემუქრება, რომ იმ საიქიოს პასუხს გასცემ ღმერთსაო, „მრისხანე სახით“ ანებებს თავსა და გარბის რკინის გზის ლიანდაგისკენ. რამდენსამე მონოლოგს შემდეგ იგი ჩაუვარდება ვაგონების მატარებელს, რომელიც ერთს წუთში უსპობს მას სიცოცხლეს. აბა ვის არ შეებრალება საცოდავი მსხვერპლი სიყვარულისა!..

**

ამ სადა ყალიბზე ჩამოსხმულს ამბებში ავტორი მორიდამ მაინც გვანიშნებს უბედურებას და ტანჯვასა, რომელიც ურგუნებია ადამიანისთვის მოძმეთა გაუტანლობას და ღალატს. მაგრამ იმისთანა ნაქვთებში, როგორიც არის «ორი სურათი», „ძველს კილოზედ“ და ნამეტნავად მშვენიერი ამბავი „ბოშა გოგო“, ამ ხელ-ჩასაკიდებელს მიზეზს უბედურებისასაც ვერა ჰხედავთ. „ორ სურათში“ ავტორი აგვიწერს მეტად სამწუხარო წამებს ქართველ სტუდენტის სიცოცხლისას, რომელიც დაჭლექებულა რუსეთში და ჰშორდება წუთი-სოფელს ისე, რომ თავის სამშობლოს ნახვასაც ვერ ეღირსება უკანასკნელად მაინც. ამბავში „ძველს კილოზე“ გიმნაზიიდგან გამორიცხულს ვანოს აძლევს მისი მამა „თავისუფალ ჯარის კაცად“. ამ სამსახურში იგი ერთს დღეს გაცივდება და ცოტა ხნის ავადმყოფობას შემდეგ გარდაიცვლება. მოთხრობა „ბოშა გოგო“ წარმოგვიდგენს სიკვდილისავე სურათს, მაგრამ აქ სიკვდილიც-კი რაღაც სრულებით უმიზეზო და მოულოდნელია. მეტად საინტერესო და საგანგებო სიუჟეტი აულია ავტორს ამ მოთხრობაში და, გარდა მცირეოდენ შეცდომებისა, ხელოვნურადაც არის იგი შესრულებული. ხუთის წლის ბოშა გოგოს იპოვნის გლეხის სახლობა ტყეში ხეზე მიკრულს, წამოიყვანს, უწოდებს სახელად მარინეს. მარინე გაიზრდება საუცხოო ქალი დადგება, როგორც სილამაზით, აგრეთვე მხნეობით, ოჯახის ერთგულობით, ჯანითა და ღონით. მთელის სოფლის სასიძო ბიჭები არიან და მარინე. ყველა მას ეტრფის, ყველა ეღირება, შეჰხარის, მაგრამ მარინეს არავინ რად მიაჩნია, გარდა მის გამზრდელ ოჯახის შვილის ვაჟისა, კოსტასი, რომელიც ცხარედ თანაუგრძნობს მარინეს. აგერ ვენახში რთველი აქეთ. მარინე და კოსტა პირველად იქ გამოუტყდებიან ერთმანეთს სიყვარულში.

რიც იგორის პოლკის შესახებ ნათქვამის ენასა და პუშკინისა და ლერმონტოვის ენას შორის. ამიტომაც ახალგაზრდა ქართველისათვის ისევე ძნელია „ვეფხვის-ტყაოსნის“ წაკითხვა, როგორც ჩვენთვის იგორის პოლკის შესახებ თქმულისა, ერთის სიტყვით, გონებას მაღლდატანება და დრო უნდა, რომელიც ყველას სულთ არ აქვსო.

დასასრულ, ბ-ნი გულაკი ამბობს, რომ ლეისტის თარგმანი ცოტაოდნად გააგებინებს დასავლეთ ევროპიელს „ვეფხვის ტყაოსნის“ შინაარსს, მაგრამ ჩვენთვის-კი, თუ კარგად, გულ-დადებით გვინდა მევისწავლოთ ეს პოემა, ვერაფერი გამოსაყენებია. ჩვენ ჯერ კიდევ ქართველებისაგან მოველით ნამდვილს თარგმანს, ისეთს თარგმანს, რომ მარტო ზიჩის სურათებით-კი არ იყოს შემკული, არამედ სხოლიებითაც იყოს განმარტებულიო.

# რუსეთი

„ფხიზლობის საზოგადოებას“ ჰსურს იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე და დააკანონებინოს, რომ ყმაწვილებს აეკრძალოს თავის მშობლების წაყოლა დუქნებში, სადაც ადგილობრივ დასალევადაც იყიდება სასმელები.

— ამ უკანასკნელს დროს ფალსიფიკაცია მეტის მეტად გახშირდა. ჩაით მოვაჭრენი ამბობენ, რომ თვით ჩინეთიდგანაც ბევრჯელ შემოგვატყუებენ ხოლმე ყალბს ჩაისაო. პროფესორმა ვერიგომ რამდენიმე გვარი ჩაი გასინჯა და შიგ იმ მცენარის ფოთლები იპოვნა, რომელსაც ინგლისელები „oragne pekoe“ ეძახიან. ამ მცენარის გამხმარი ფოთლები ისე ძლიერა ჰგავს ჩაისა, რომ ხამი კაცი სრულიად ვერაფერს შეატყობს. პროფესორმა ვერიგომ ქიმიურად გამოიკვლია „orange pekoe“ და აი რა დაასკვნა; თუ კაცმა ამ მცენარის ფოთლების მუქი წვენი ნახევარი სტაქანი ჩაიყენა პირში, თუნდა არც-კი დალიოს, საშინელი მუცლის გლეჯა მოუვა, თავბრუ დაესხმის და გულიც უსწორ-მასწოროდ დაუწყებს. ცემას თუ დალია, მაშინ უფრო უარესად მოქმედობს კაცზე. „orange pekoe“ გარეგნობით მხოლოდ იმითი განირჩევა ჩაისაგან, რომ ცოტა უფრო მოგრძო ფოთლები აქვს და ამიტომაც ჩინელები ადვილად ატყუებენ რუსეთის მოვაჭრეებს, დაბალ ხარისხოვანს ჩაიში ერთს მეათედს ამ მცენარის გამხმარს ფოთოლს ურჩევენ ეითომ და გემოს გასაუმჯობესობლად და ისე უგზავნიან. ვისაც ბაცი ჩაის უყვარს და ზომიერადა სვამს, იმას აგრე რიგად ვერ აწყენს ეს ყალბი ჩაი, მაგრამ მუქ ჩაის მოყვარე და ბევრის მსმელი ადვილად შეიძლება წუთი სოფელს გამოესალმოს. ერთი ამგვარი ამბავი 21 მარტსაც მოხდა. ვიღაც კურსკელი მოქალაქე პ. ი. დანილოვი შევიდა სასტუმროში, მოითხოვა და რამდენიმე სტაქანი მუქი ჩაი დალია. გაათავა თუ არა ჩაის სმა მაშინვე მუცელმა დაუწყო გვრემა და თავბრუ დაესხა. მოვიდა სახლში და რამდენსამე წუთს შემდეგ სულიც დალია. როცა მკურნალმა გასინჯა მიცვალებული, ასე სთქვა, ეს კაცი ჩაის მოუწამლია და იმას მოუკლავსო.

— მოსკოვის ერთს გაზეთში შემდეგი ამბავია მოთხრობილი, სალამიკის ცირკში მომხდარი. 23 აპრილს, წარმოდგენა იყო გამართული. ღამის მეათე საათზე გამოვიდა ქ-ბნი ზენიდა, გამწვრთნელი მხეცებისა, და ერთს ყაფაზაში შევიდა, რომელშიაც იყო ორი ლომი, ერთი ფოცხვერი, ერთი ვეფხვი და ერთიც დათვი. ზენიდას უნდოდა ლომი ხარიხაზე გადაეხტუნებინა, მაგრამ მხეცი არ უგონებდა. ამ დროს ყაფაზას გვერდზე მდგომმა კარლ ბეკმანმა- შეყო რკინის ჯოხი, რომ ლომი ფეხზე წამოეყენებინა. ლომი გაბრაზდა, ეცა ზენიდას, წააქცია და კბილები ჩაუჭირა. ქალმა დაიწივლა. დამსწრე საზოგადოებაში ჩოჩქოლი შეიქმნა. ვიღაც ქალს გული შეუწუხდა. მოხერხებული ბეკმანი მსწრაფლ შევარდა ყაფაზში, დასცხო ლომს რკინის კეტი, დააბნია და ზენიდა გააშვებინა. ლომი რომ დაბარბაცდა და წაწვა, ბეკმანმა საჩქაროდ გადმოსტყორცნა ქ-ნი ზენიდა ყაფაზიდგან და თითონაც გამოვიდა დაუშავებლად. წარმოდგენა შესწყვიტეს. იქვე მკურნალი შეესწრო და ზენიდას ჭრილობა შეუხვია. აღელვებულის საზოგადოების დასამშვიდებლად ზენიდა ორჯელ-სამჯერ გამოიყვანეს. თუმცა გვერდი სისხლითა ჰქონდა მოსვრილი, მაგრამ მაინც ღიმილით უკრავდა თავს ტაშის მკვრელთ. ექიმის სიტყვით ჭრილობა მალე მოურჩება.

# წვრილი ამბები

ამ დღეებში გარდაიცვალა პოლშელი თავადი ელენ სანგუშკო. ეს ქალი განთქმული იყო თავისის შესანიშნავისა და მომხიბლავის სილამაზით არა თუ მარტო პოლშის დიდ-კაცთა შორის, არამედ მთელს ევროპაშიაც. ერთს დროს ელენე სანგუშკო ნაპოლეონ III სასახლეში სცხოვრობდა და, როგორც ამბობენ, ნაპოლეონმა, ვიდრე გრაფინია მონტიხოს აიყვანდა საფრანგეთის სამეფო ტახტზე, შერთვა სთხოვა ელენესა, მაგრამ უარი მიიღოვო. ბევრმა ავსტრიის დიდ-კაცთაგანმაც მოინდომა ელენე სანგუშკოს შერთვა, მაგრამ ის ყველას უარს ეუბნებოდა და ვერა ჰბედავდა დაქორწინებას, ელენე სანგუშკო მომეტებულ ნაწილად გალიციაში სცხოვრობდა, ტირნოვოს ახლო. სილამაზეს გარდა, ელენე სანგუშკომ თავისის კეთილის გულითაც დაიმსახურა საზოგადოების პატივისცემა და სახელი მოიხვეჭა. ხნით ელენე 55 წლისა გარდაიცვალა.

— ქალაქ მილანში ერთი შესანიშნავი საათია გამომცხვარ პურის გულისაგან გაკეთებული. ამ საათის გაკეთების ამბავი ასე ყოფილა. ერთს ხელოსანს სიღარიბისა გამო შეძლება არა ჰქონია, რომ შესაფერი ლითონი ეყიდნა და ამიტომ პურის გულისაგან მოუწადინებია საათის გაკეთება. რადგან პური ძლიერ ჩვილი ყოფილა, ბლომად მარილი დაუყრია, აუზელია, კარგა შეუმაგრებია და ისე შესდგომია საათის გაკეთებას. ეხლა ეს საათი ერთი იშვიათ ნივთთაგანია და სამეფო სასახლეს ეკუთვნის.

— ბრემენის მთავრობამ ადვილი ხერხი მოიგონა ღარიბ გადმოსახლებულის ხალხის თავიდგან მოსაშორებლად. დაინახავენ თუ არა ღატაკს კაცს, გერმანიიდგან გადმოხვეწილს, მამინვე ბერლინში ჰგზავნიან. ამ დღეებში სამასზე მეტი კაცი მივიდა ბერლინში ბრემენიდგან გაგზავნილი და იმათს შენახვაზე ბერლინის პოლიციას ჯერ 500 მარკაზე მეტი ხარჯი მოუვიდა. ბერლინის პოლიცია უპირებს უჩივლოს ბრემენს და ეს ხარჯი მოსთხოვოს. ტამოჟნის მოხელეთაც სასტიკად უბრძანა, რომ ნუღარ გამოუშვებთ ხოლმე ბრემენიდგან გამოგზავნილს ღარიბს გარდასახლებულებსაო.

— საფრანგეთს იაფად არ უჯდება თურმე დიპლომატების შენახვა ევროპის სხვა და-სხვა დიდს ქალაქში. ყველა ელჩს ჯამაგირა თანასწორი აქვს—წელიწადში 40 ათასი ფრანკი, მაგრამ სახლის ქირისთვის და სასტუმროდ მეტ-ნაკლები ეძლევათ. ბერლინელს ელჩს საფრანგეთისას 100,000 ფრანკი ეძლევა სახლის ქირად, ასე რომ ჯამაგირიანად სულ 140000 ფრანკს იღებს წელიწადში, ვენაში ელჩის შენახვა საფრანგეთის მთავრობას 170,000 ფრანკი უჯდება, კონსტანტინოპოლში 130000, რომში ვატიკანისა და კვირინალის ელჩის შენახვა—140000 ფრანკი. ყველაზედ მომეტებული ხარჯი პეტერბურგის ელჩზე მოდის. სულ სახლის ქირის ფულით 250000 ფრანკი მიდის წელიწადში.

### წერილი რედაქციის მიმართ

გიგზავნით ამასთანავე ჩემ მიერ ხელის მოწერით შეგროვილს ფულს განსვენებულ დიმიტრი ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ ორმოც-და-ოთხ მანეთსა და ერთს აბაზს (44 მ. და 20 კ.) გთხოვთ სია შემომწირველთა დაბეჭდოთ თქვენს გაზეთში: კნიაჟ. ალათი მაჭუტაძისა 2 მ., კნ. ლიზა მაჭუტაძისა 1 მ., ბუქუნეტია ჯაყელისა 1 მ., ფოტინე სამარკინისა 1 მ., ალ. სურგულაძისა—1 მ., თ. ივანე მაჭუტაძე 5 მ., თ. დიმიტრი მაჭუტაძე 3 მ.; თ. ალექსანდრე მაჭუტაძე 2 მ., ირაკლი ჯაყელი 1 მ., ვასილ დუდუჩავა 1 მ., ლავრენტი მგელაძე 1 მ., დიმიტრი კალანდარიშვილი 1 მ., კონსტანტინე ხალვაში—1 მ., თეოფილე წულაძე 1 მ., მელქისედექ ჯაში 1 მ, სამსონ გრიგოლია 1 მ., მელიტონ ბარამიძე 1 მ., პრაპორშჩიკი კოდრატი ქორდინია 1 მ., იაკინთე შევარდნაძე 1 მ., ფლორ ალექსეევი 1 მ., მიხეილ ორმოცაძე 1 მ., პლატონ კორძაიამ 1 მ., კოლა ახვლედიანი 1 მ., ბათუ ბილიხავა 1 მ., ბესარიონ ქიქკარიანი 1 მ., ფარნაოზ ჰეჭილკიშვილი 1 მ., კოწია გორგილაძე 1 მ., კოსტა ვაჩეიშვილი 1 მ., ნოე ქორდანია

---

— ოჰ, შენ განსცვალდი ჩემი თავი!—შესძახა აღტაცებულმა ბიჭმა და ერთის თვალის დახამხამებაში ნიკაპზე ხელი სტაცა, თავი გადაუწია უკან და კოკობ ვარდის ფერ ტუჩებზე გიჟურის გატაცებით დაეკონა... გოგო არ ეწინააღმდეგებოდა: თვალებ დახუჭული, ის სრულის თავ-დავიწყებით და ახალ-გაზდურის ვნებით მისცემოდა პირველ სიყვარულის ნეტარებას და სუროსავით გადაწნოდა თავის სატრფოს... წამები წამებზე შეუმჩნევლად გადიოდა, მაგრამ რა იყო იმათთვის წამები, როდესაც მრთელი საუკუნე არ კმაროდა, რომ სიყვარულის ფიალი ძირამდე დაეცალათ.

მეორე ღამეს კიდევ დაალევინებს ჩვენი ავტორი ნეტარების ფიალს ამ ახალგაზდებს, მერე უმიზეზოდ გაჰხდის ავად მარინესა და ორ-სამს დღეში გაისტუმრებს საიქიოს. კოსტა სამუდამოდ უცოლო დარჩება, აღარავის შეირთავს მარინეს სიყვარულის გამო. რა ენაღვლებოდა ავტორს, ცოტა ხანს კიდევ ეგემნათ სიტკბოება ამა ქვეყნისა! მამა წინააღმდეგი იყო მათის კავშირისაო—გვეტყვის ავტორი, ულმობელი კაცი იყო თევდორეო. ძალიან კარგი. მაშ დაგვანახვეთ, ბატონო, მათი ბრძოლა ამ გარემოებასთან და, თუ აღარ დაგიშლიათ, შეაკალით იგინი ამ ბრძოლას. რად გვაცლით ხელიდამ ამისთანა ჯანმრთელსა და მტკიცე ხალხს უბრძოლველად, რადა ჰხდით მსხვერპლად მოულოდნელისა და უმიზეზო ავადმყოფობისა? რა უნდა გვითხრათ ავადმყოფობით? ავადმყოფობა სპილოსაც ულებს ბოლოს და ქალი რომ მოიდნოს, გასაკვირველი და ჭკუის მწვრთნელი მანდ რა უნდა მოუძებნოთ თქვენს მკითხველს!...

**

აკი ზემოდაც მოგახსენეთ რომ დრამატიულს ამბებში განსაკუთრებული ყურადღება ავტორისა უნდა მიმართული იყოს ადამიანის სულის ვითარებაზე მეთქი. გადაგვიშალეთ თვალწინ სურათი მისი, თუ როგორ დაირღვა სულის მყუდროება თქვენის გმირისა, რა ბრძოლა, რა ტანჯვა, რა ზომის მწუხარება გამოიარა, ვიდრე იგი დარწმუნდა, რომ სიცოცხლეს მისთვის ჩალის ფასიც აღარ აქვს, რომ პირიქით ეს სიცოცხლე მისთვის შეიქმნა აუტანელ და მძიმე ბარგად, რომელიც სწამლავს მისს არსებას, უწვავს და უდაგავს გულ-მუცელს, და ამისთანა სასწარკვეთილებაში იგი ან დაღლილ დაქანცული დღე-დღეზე ჰკარგავს ძალას და უახლოვდება სამარეს ბუნებრივად, ან იმდენი სულის სიმტკიცე ველარ მოუპოვებია, რომ ელოდოს სიკვდილს, და თავისის ხელით ისპობს სიცოცხლეს. მხოლოდ ამისთანა აღწერით მოახერხებს მოთხრობების მწერალი, რომ დაგვანახვოს ხასიათი ადამიანისა და მიაღწიოს იქამდე, რომ შეჰქმნას მწერლობაში ტიპი, ხასიათური წარმომადგენელი სხვა მრავალ თავისებურ ადამიანთა, და ამ შემთხვევაში ნაწერსაც თავისი ღირსება და მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის მითი, რომ მკითხველს უადვილდება გაიგოს მრავალი მოვლენა ცხოვრებისა, რომელსაც იგი ჰხედავს და ვერსაიდამ-კი ვერ მოუვლია, რომ მიუხვდეს მიზეზს.

რა საკვირველია, ყველა მწერალს არ შეუძლიან სულის ვითარების გამოკვლევა, გაგება და სათანადო გამოხატვა. ამისთანა შემთხვევაში დრამატიულ სიუჟეტების მოყვარე მიჰმართავს ხოლმე საზოგადოების ავ-კარგიანობის გამოკვლევას და შესწავლას. იგი ჩააყენებს თავისს გმირს იმისთანა საზოგადოებურს გარემოებაში, სადაც მისი ძალ-ღონე ვერას გაჰხდება, და უნდა შეაკლას თავი ამ გარემოებას. თუ პირველს შემთხვევაში მწერალი ჰხატავს ტიპს, სამაგიეროდ მეორე შემთხვევაში იგი გვიხატავს სურათს საზოგადოების ცხოვრებისას, მის უსწორ-მასწორობას, სოციალურს ყოფას, და ამ ორსავე შემთხვევაში ჩვენ ხელთა გვრჩება საგანი, რომელსაც შეუძლიან ან კარგი უთხრას ჩვენს გონებას, ან ავი.

სულის ვითარებისა და ხასიათის დახატვა ჩვენმა ავტორმა ორ ადგილას სცადა, ერთხელ „უბრალო ამბავში“, მეორედ ნაქეთში „ახალ-გაზდა ქალის დღიურიდამ“, მაგრამ საუბედუროდ ორჯელვე სუსტი გამოდგა ეს ცდა. ახალ-გაზდა ქალის თავგადასავალი სრულიად დაუჯერებელი ამბავია ჩვენის ქვეყნის ცხოვრებაში და ვერც მოსაწონებელი ხასიათი შეუჩინა ავტორმა ამ ქალს, თუმცა-კი ძლიერ ცდილობს, მოგვაწონოს. ცოლიანი კაცი შეადგება გასათხოვარს, მასწავლებელს ქალს, ჰსურს დაიყოლიოს, მაგრამ ქალი არა ჰნებდება. ძალიან კარგი, მაგრამ ის-კი არ ვარგა, რომ ქალი მიდის და ტანჯულს ცოლს უამბობს მის ქმრის მხეცურ წადილს. შემდეგ ქალი ჰ ანებებს თავს გაკვეთილებს, ჩავარდება სიღარიბეში, რომელიც უსწრაფებს მის დედას სიცოცხლეს. დასასრულ, ტფილისში, დეკემბერში, თოვლიანსა და სეტყვიან (?) ღამეს ქალს რაღაც დაეცემა თავში, დაჰკარგავს გრძნობას და გამოიღვიძებს მდიდრულად მორთულ სასტუმროში, სადაც თურმე გაუტაცნია იმ „მხეც“ კაცსა. როდესაც უკანასკნელი განუმეორებს, რომ ამ ქალმა მასთან იცხოვროს უკანონო კავშირით და ქალი კვლავ უარს ეტყვის, მაშინ დაცემული კაცი ხარხარით შეატყობინებს, რომ მან უკვე აღისრულა თავისი წადილი,—ვიდრე ქალი გონს მოვიდოდა, მან ყველაფერი გაათავა კიდეც. ამას შემდეგ ქალმა აღარ ინდომა სიცოცხლე და წისქვილის ბორბალს შეაკლა თავი მტკვარში,

„უბრალო ამბავი“-კი ჩინებულად მოგვითხრობს სულის მდგომარეობას ახალგაზდა ნასწავლი ქართველისას, რომელმაც გაათავა სწავლა უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ ცხოვრებისა და მოღვაწეობისა-კი არა იცის-რა და ვერც რა სამსახურს ახერხებს ქვეყნის საკეთილ-დღეოდ ადგილი ნებას არ მაძლევს მოვიყვანო საუცხოვო სტრიქონები ავტორისა იმის შესახებ, თუ რა უშველებელი განსხვავებაა ქართველსა და რუსს სტუდენტებს შორის საქვეყნო მოღვაწეობის ასპარეზზე. ნაკლი ამ ჩინებულის მოთხრობისა იმაშია, რომ ავტორი ალაპარაკებს ამ ახალ-გაზდას მეტად უხერხულად და მისი ჩინებული ბაასი ისე გამოდის, თითქო არა მკითხე-მიამბეაო.

ენა მოთხრობებისა ერთობ სუფთა და საამოა. აქა-იქ იმერულ-გურული კილო თუ არა ჰშვენის, არას აკლებს ნაწერებს. ადგილ-ადგილ რუსიციზმები და ნამეტანი ნაცვალ სახელები შეგხვდებათ, მაგრამ უეჭველია ჩვენი ავტორი თავისს დროზე ამასაც აიცდენს, როგორც სხვა ნაკლს.

სანო.

1 მ., კოსტა № 1 მ., ანდრია მგალობლიშვილი 50 კ., მღვ. პორფირე კანდელაკი 50 კ. № 50 კ., მიხეილ № 50 კ., იასონ ნიკოლაიშვილი 50 კ. კლიმენტი არხიპოვი 50 კ., ნიკიფორე ჩხეიძე 50 კ., დავით მიქელაძე 50 კ., მალხაზ ასათიანი 50 კ., მიხეილ № 50 კაპ., ევდენ ნანეიშვილი—50 კ., ხვედრიან გრიგოლია 50 კაპ., ფილიპე კოპალაძე 20 კაპ.

ალექსანდრა სურგულაძისა
ს. ნიგოითი.

## დეპეშა

1 მაისი

პეტერბურგი. ისაკისა, ყაზანისა და მრავალს პეტერბურგის სხვა ტაძარში დღეს გარდახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი მემკვიდრე ცესარევიჩის ხიფათისაგან გადარჩენის გამო.

პარიჟი. აქაური გაზეთები წყრომით არიან იმის გამო, რომ ოტსაში მემკვიდრე ცესარევიჩი უნდა მოეკლათ.

ლონდონი. იოკაგამიდგან დღევანდელს დღეს მოსული დეპეშა იუწყება, რომ მემკვიდრე ცესარევიჩის მოკვლა ოტსაში, კიოტას ახლო, ვილაც ფანატიკს პოლიციის მოსამსახურეს სდომებია რომელიც ადგილობრივი მცხოვრებია თურმე. ცესარევიჩს, შუბლი აქვს დაჭრილი, მაგრამ მძიმედ-კი არა. რა წამსაც მოკვლის განზრახვის ამბავმა მოაღწია იაპონიის სატახტო ქალაქს, მიკადო მაშინვე კიოტოს გაეშურა. „სტანდარტ“-ის დეპეშის სიტყვით, მემკვიდრე ცესარევიჩი იმიტომ გაემგზავრა თურმე ოსტაში, რომ ამ განთქმულის სასეირნო ადგილის მშვენიერებანი დაეთვალიერებინა. ბოროტგანმზრახველი იაპონიელი მკვიცრია, სახელად სანცო. მემკვიდრე ცესარევიჩს ხმალი დაჰკრა თავში. რომ ბოროტგანმზრახველს ნამდვილად უნდოდა მოეკლა ცესარევიჩი, ეს ეჭვს გარეშეა. მაგრამ, მგონი, იმის გამო რომ მემკვიდრე ცესარევიჩს სქელი და მაღალი ქუდი ეხურა, ჭრილობა შედარებით მსუბუქი გამოდგა. ამბობენ, რომ მხოლოდ შუბლი აქვს გაფხაჭნილი ხმლითა და საშიში არ არისო. კითხვა არ უნდა, რომ მიკადო და იმის მინისტრები დიდად შეძრწუნებულნი არიან ამ სამარცხვინო საქმის გამო წინაალმდეგ სასურველი და ღრმად პატივცემულ სტუმრისა. რაც შეეხება მთელს იაპონიის ხალხს, ყველანი სწუხან ამ შემთხვევის გამო. ჰფიქრობენ, რომ ბოროტგანმზრახველი შეშლილიაო. მიკადო და მინისტრები საჩქაროდ გაემგზავრნენ კიოტოში თანაგრძობის გამოსაცხადებლად. წინადვე შეიძლება სთქვას კაცმა რომ თუმცა ეს სამწუხარო ამბავი მოხდა, მაგრამ მემკვიდრე ცესარევიჩი უმადური მაინც არ წაბრძანდება იაპონიელთ გულგაშლილობისა.

პეტერბურგის ბირჟა 26 აპრილი.

| | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | 6 76 | 6 73 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 134½ | 135 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 03 | 1 05 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი | 242½ | — „ | — „ |
| —მეორისა | 222 | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი | 213 | — „ | 216 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | 101 62 | — „ | 101 55 |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## სამოსამართლო პალატა

სხვათა-შორის შემდეგი საქმეებია გასარჩევად დანიშნული:

4 მაისს

საკასაციო საჩივარი

ა) დარია ჩემოდანოვისა ანტონ ჩირაძეზე დუქნის დაცლის თაობაზე და 300 მან. ნეუსტოიკა პირობის დარღვევის გამო (გადატანილი ქუთაისის ოლქის სასამართლოდამ).

ბ) ხაზინისა თაყაიშვილებზე ტყის თაობაზე (ქუთაის. ოლქ. სასამ.).

გ) ნინო ნიოტუხისა მინა ნიკოლაიშვილზედ ვექსილით 100 მან. თაობაზედ (ფოთის მომრიგებელ მოსამართლის გადაწყვეტილებაზე).

დ) ნიკო ლექავასი ივანე ზედგინიძეზე 84 მან. ზარალის თაობაზედ (თელავის მომრიგებელ მოსამართლის გარდაწყვეტილებაზე).

ე) ალექსი ვაშაძესი ალექსი წერეთელზე 100 მან. თაობაზედ (საჩხერის მომრიგებ. მოსამ. გარდაწყვ.)

ვ) იბრაჰიმ ახმედოვისა ელიზბაროლლი ქუბიძესი მურად მამედ-ოღლიზე 95 მან. თაობაზედ (ოზურგეთის მომრ. მოსამართლ.)

ზ) სიმონ ბაღდასაროვისა დავით მანანოვზე 100 მან. ზარალის თაობაზე (ტფილისის მე-4 განყოფილების მომრიგ. მოსამართლ).

ტ) ვასილ მჭედლიშვილისა გიგია ფათერაკაშვილზე 100 მან. თაობაზე ყურმნის მოსავლისა (სიღნაღის მომრიგ. მოსამართლის გარდწყვ.)

თ) დავით კიზირიასი ამიერ კავკასიის რკინის გზაზედ 50 მან. თაობაზედ, რომელიც დირდა გზაზე გაფუჭებული წუმწუმა (ქუთაისის მომრ. მოსამართლ.)

ი) გოგია მარგალიტაშვილისა ისიდორე ჩუბინაძეზე 75 მან. თაობაზე (თელავის მომრ. მოსამართლ.)

კ) მოიხოზა და რევაზ ცხადაძეებისა კონსტანტინე რევაზაშვილებზე 100 მან. თაობაზე (შორაპნის მომრ. მოსამართლ.)

კონსტანტინე კვირიანისა თავ. გარდაამ ერისთავზედ ტყის ფულის თაობაზედ (ქუთ. ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილებაზედ).

მიხეილ მამაცაშვილისა ნინო ოკლობჟიოზე მამულის თაობაზედ (ტფ. ოლქ. სასამ. გარდაწყვეტილებაზედ).

ისაკა მოსიაშვილისა აბრამა ელიგულაშვილზე ფულის თაობაზედ (ქუთაისის ოლქის სასამ. გარდაწყვეტილებაზედ).

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლე გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლე გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან გელენჯიკიდან და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

## განცხადებანი

ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის

გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვისაც-კი მოეპოება ხელ-ნაწერი საბა ორბელიანის ნაწ. „სიბრძნე-სიცრუე“, გამოუგზავნოს ამხანაგობის ხარჯით გამგეობას, შესადარებლად ერთმანეთთან, რათა გამოცემა ზემოხსენებულის ნაწერებისა ამხანაგობის მიერ განზრახული, სრული იყოს, შესწორებული, შენიშვნებით და სხ. შემდეგ დაბეჭდვისა ხელნაწერები დაუბრუნდებათ პატრონთ ამხანაგობისავე ხარჯით.

ადრესი: Тифлисъ, Правленію Грузинскаго Издательскаго Товарищества. (5—3)

მიბაძვა ქრისტესი,

თომა კემპელისა

თარგმნილი ლათინურიდგან

პ. ა. მღებრიშვილის მიერ.

წიგნი I, II, III და IV ისყიდება შემდეგს ქალაქებში:

თბილისში: „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, სადროთო წიგნთ-საკითხავში და ქართველთა წიგნის გამომცემ ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში.

გორში: არ. კალანდაძის სტამბასა და ზ. დონდაროვის მაღაზიაში.

ქუთაისში: ძმ. ჭილაძეებისა და ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში.

ხონში: ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში.

ოზურგეთში: გ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში: მ. ნიკოლაძის წიგნის მაღაზიაში.

ახალციხეში: ძველს ქალაქში სომეხთა-კათოლიკე მღვდელ გვარამაძესთან.

მაზდოკში: კათოლიკეთა მღვდელ-პეტრ გ. მუთაფოვთან.

ცხინვალში: დურმიშხან ყურულთან.

ყვირილაში: მამა დეკანოზ ღამბაშიძესთან და ფოთში: კოსტა ყაუხჩოვთან.

ფასი მთელის წიგნისა ყდითა და ოთხის სურათით 1 მ. 50 კ., უყდოდ და უსურათოდ 1 მ. (10—7)

სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . | 10 მ. — კ. | 6 თვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები.

1) „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგმანი თ. სახოკიას-მიერ . . . . „ 30
2) „ცვარი“ საყმაწვილო წიგნი, სურათებით შ. მღვიმელისა. „ 30
3) ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ. . . . . . . . „ 5
4) ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ღლონტიშვილის მიერ წიგნი I. „ 30
5) იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . . „ 75
6) თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით „Facsimile“-თი და ბიოგრაფიით . . . . . . . . . . „ 80
7) იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . . 1 25
8) „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. . . . . . . . . „ 15
9) „სურამის ციხე“ გამოც. მესამე გრ. ჩარკვიანისა . . „ 25
10) „მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა . . . . . „ 20
11) „წყალობა“ პოემა მისივე . . . . . . . . „ 20
„ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“ ანუ „მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“ გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილისა . . . . . . „ 40
12) ანდერძი ანტონის II, საქართველოს კათალიკოსისა, გამოცემული დ. ფურცელაძის მიერ . . . . . . . „ 30
13) რამდენიმე ლექსი ცახელის. . . . . . . . „ 15
14) „სამი ისტორიული ხრონიკა“ ექვ. თაყაიშვილისა . . 1 „
15) „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა. . . . . . . . . „ 50
16) „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა . . . . . „ 50
17) „ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა“ შარაბიძისა. . „ 60
18) „დემეტრეს სახლობა“ მოთხრ. ს. მგალობლიშვილისა. „ 15
19) „თამარ ბატონიშვილი“ ისტორ. რომანი რჩეულიშვილისა. 1 „
20) „Руско-грузинскій словарь“ вновъ составленый по новѣйшимъ русскимъ словарямъ დ. ჩუბინაშვილისა . . . 3 50
21) „არჩილიანი“ გამოც. მაჩიტაძისა-დიმელისა . . . . „ 75
22) „მიბაძვა ქრისტესი“ თხზ. თომა კემპელისა თარ. ლათინურიდგან ა. მღებრიშვილისა წიგნი III და IV ყდით . . . . „ 80
23) იგივე უყდო . . . . . . . . . . . „ 60
24) „მიბაძვა ქრისტესი“ წიგნი I და II ყდით . . . . „ 70
25) „შვილის აღზრდა“ პედაგოგიური წერილები თ. ხუსკივაძისა „ 20
26) „ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა“ გ. იოსელიანისა . . „ 20
27) „ძველის დება“ მეფე გიორგი ბრწყინვალესი“ ნ. ურბნელისა „ 25
28) „იავნანამ რა ჰქმნა“ მოთხ. ი. გოგებაშვილისა . . . „ 10
29) „კიკოლას ნაამბობი“ ისტ. პოემა აკაკისა . . . . „ 20
30) „ბორკილი“ დრამა თარ. ახნაზაროვისა . . . . . „ 40
31) ქანნა—დარკ . . . . . . . . . . . „ 5
32) ბერლინის გარემოცვა . . . . . . . . „ 5

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შემდეგის ადრესით უნდა მიმართონ: Тифлисъ. Въ Книж. Магазинъ „Грузинскаго Издательскаго Товарищества“ Лорисъ-Меликовская ул. д. Зубалова.

Доз. Цен. Тифлисъ, 2-го Мая 1891 г. Типографія Я. А. Мансветова, на Лорисъ-Мелик ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.